186
1975/2

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებათა კრებული

№ 4

ივლისი-აგვისტო

1975 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებათა კრებული

№ 4 ივლისი-აგვისტო 1975 წ.

შ ი ნ ა ა რ ს ი

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილება

52. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1949 წლის 4 მარტის № 266 დადგენილების მე-8 პუნქტის ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები

53. წყლის რესურსების გამოყენების რეგულირებისა და დაცვის საკითხებში საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და სსრ კავშირის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობისა სამინისტროსადმი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბუნების დაცვის სახელმწიფო კომიტეტის ორმაგი დაქვემდებარების შესახებ.
54. „საბჭოთა კავშირის წითელ წიგნში“ შეტანილ იშვიათ და გადაშენების გზაზე ყოფილ სახეობათა გარეული ცხოველებისა და მცენარეების დაცვის ღონისძიებათა გაძლიერებისა და „საქართველოს სსრ წითელი წიგნის“ შექმნის შესახებ.
55. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1970 წლის 12 ივნისის № 349 და 1972 წლის 26 ოქტომბრის № 554 დადგენილებაში ნაწილობრივი ცვლილებების შეტანის შესახებ.
56. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1973 წლის 21 მაისის № 326 დადგენილებით დამტკიცებულ საქართველოს ი. გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიური საზოგადოების წესდებაში ნაწილობრივი ცვლილებების შეტანის შესახებ.

57. მათემატიკის მეცნიერებათა დარგში თვალსაჩინო ნამუშევრებისათვის ა. მ. რაზმაძის სახელობის პრემიის დაწესების შესახებ.
58. საბჭოთა კინემატოგრაფიის გამოჩენილი მოღვაწის მიხეილ ჭიაურელის ხსოვნის უკვდავყოფის შესახებ
59. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1948 წლის 20 აპრილის № 338 დადგენილების მე-7 პუნქტის ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ
60. გურჯაანის რაიონის სამეურნეობათაშორისო სამელიორაციო საწარმოო გაერთიანების შესახებ.
61. მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებთან, სავაჭრო ორგანიზაციებთან, მაღაზიებთან, სახელმწიფო ვაჭრობის საზოგადოებრივი კვების საწარმოებთან და მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოებთან არსებული მომსახურების ფასების, ტარიფების, ვაჭრობისა და ყოფა-ცხოვრების სამსაურის წესების დაცვის კონტროლის კომისიების შესახებ.
62. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1965 წლის 8 ოქტომბრის № 581 დადგენილებით დამტკიცებული საქართველოს სსრ ადვოკატთა შრომის ანაზღაურების დებულების ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ.
63. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 16 აპრილის № 250 დადგენილების დანართში დამატების შეტანის შესახებ
64. საკონტროლო ციფრების საფუძველზე აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ სახელმწიფო ბიუჯეტების, აგრეთვე საქართველოს სსრ ადგილობრივი ბიუჯეტების პროექტების შედგენის წესის დროებითი დებულების დამტკიცების შესახებ.
65. კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საწარმოო ქვედანაყოფების ხელმძღვანელთა მომზადების გაუმჯობესების შესახებ.
66. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1975 წლის 29 აპრილის № 347 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მთავრობის ზოგიერთი გადაწყვეტილების შეცვლისა და ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილება

52 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1949 წლის 4 მარტის № 266 დადგენილების მე-8 პუნქტის ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენენ:

„სანახაობათა გადასახადის საკითხებზე სსრ კავშირის მთავრობის გადაწყვეტილებათა ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1975 წლის 4 აპრილის № 265 დადგენილების შესაბამისად ძალადაკარგულად ჩაითვალოს მე-8 პუნქტი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1949 წლის 4 მარტის № 266 დადგენილებისა „თეატრებისათვის სახელმწიფო დოტაციის შემცირებასა და მათი საფინანსო საქმიანობის გაუმჯობესების ზომებზე სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1948 წლის 4 მარტის № 537 დადგენილების შესრულების შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1949 წლის 6 თებერვლის № 506 დადგენილების შესრულების ღონისძიებათა თაობაზე“ სანახაობათა გადასახადის ნაწილში.

საქართველოს კპ
ცენტრალური კომიტეტის მდივანი
გ. კოლგინი.

საქართველოს სსრ
მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე
გ. ჯავახიშვილი.

ქ. თბილისი, 1975 წ. 19 აგვისტო, № 552

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები

53 წყლის რესურსების გამოყენების რეგულირებისა და დაცვის საკითხებში საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და სსრ კავშირის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროსადმი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბუნების დაცვის სახელმწიფო კომიტეტის ორმაგი დაქვემდებარების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

მიღებულ იქნეს სსრ კავშირის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს წინადადება და დაწესდეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბუნების დაცვის სახელმწიფო კომიტეტის ორმაგი დაქვემდებარება წყლის რესურსების გამოყენების რეგულირებისა და დაცვის საკითხებში საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და სსრ კავშირის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროსადმი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1975 წ. 5 ივლისი, № 438.

ეროვნული ბიბლიოთეკა

54 „საბჭოთა კავშირის წითელ წიგნში“ შეტანილ იშვიათ და გადაშენების გზაზე მდგარ სახეობათა გარეული ცხოველებისა და მცენარეების დაცვის ღონისძიებათა გაძლიერებისა და „საქართველოს სსრ წითელი წიგნის“ შექმნის შესახებ

„საქართველოს სსრ წითელი წიგნის“ შექმნის, იშვიათ და გადაშენების გზაზე მდგარ სახეობათა გარეული ცხოველებისა და მცენარეების დაცვის ღონისძიებათა გაძლიერების მიზნით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დაექვემდებაროს სახელმწიფო დაცვას იშვიათ და გადაშენების გზაზე მდგარ სახეობათა გარეული ცხოველები და მცენარეები, რომლებიც შეტანილია „საბჭოთა კავშირის წითელ წიგნში“ და რომელთა სახელმწიფო დაცვა გათვალისწინებული არ არის საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1965 წლის 3 დეკემბრის № 710 დადგენილების შესაბამისი დანართებით.

2. დაევალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტს დაინტერესებულ სამინისტროებსა და უწყებებთან ერთად, საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან შეთანხმებით, 1976 წლის 1 მაისამდე წარმოადგინოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში წინადადებანი „სსრ კავშირის წითელ წიგნში“ შეტანილ იშვიათ და გადაშენების გზაზე მდგარ სახეობათა გარეული ცხოველებისა და მცენარეების გავრცელების არეალიდან იმ ფართობების ნაკრძალად ან აღკვეთილად გამოცხადების შესახებ, რომელთა სახელმწიფო დაცვა აუცილებლობას წარმოადგენს და მათზე არ არსებობს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შესაბამისი დადგენილება.

3. დაევალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბუნების დაცვის სახელმწიფო კომიტეტს, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიას, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტს, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს, საქართველოს „ბუნების მეგობრის“ საზოგადოების პრეზიდიუმს 1975 წლის ბოლომდე წარმოადგინონ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან შეთანხმებული წინადადებანი „საქართველოს სსრ წითელი წიგნის“ შექმნისა და იმ იშვიათ და გადაშენების გზაზე მდგარ სახეობათა გარეული ცხოველებისა და მცენარეების შესახებ, რომლებიც დამატებით უნდა იქნენ შეტანილი „საბჭოთა კავშირის წითელ წიგნში“.

4. დაევალოს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიას, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტს, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბუნების დაცვის სახელმწიფო კომიტეტს 1975 წლის 1 აგვისტომდე შეისწავლონ „სსრ კავშირის წითელ წიგნში“ კავკასიური მურა დათვის შეტანის სისწორე და წინადადება წარმოუდგინონ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს.

5. დაევალოს აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებს, საქართველოს

სსრ მინისტრთა საბჭოს ბუნების დაცვის სახელმწიფო კომიტეტს, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს, საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტს, საქართველოს მონადირეთა და მეთევზეთა კავშირის გამგეობის პრეზიდიუმს და „საქშავზღვათევზშენის" სამმართველოს მკაცრი კონტროლი დააწესონ იშვიათ და გადაშენების გზაზე მდგარ სახეობათა გარეული ცხოველებისა და მცენარეების დაცვის ღონისძიებათა განხორციელებისადმი.

6. დაევალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტს, საქართველოს საზოგადოება „ცოდნის" პრეზიდიუმს, საქართველოს „ბუნების მეგობრის" საზოგადოების პრეზიდიუმს, რესპუბლიკის ჟურნალ-გაზეთების რედაქციებსა და სხვა უწყებებს ფართო პროპაგანდა გაუწიონ იშვიათ და გადაშენების გზაზე მდგარ სახეობათა გარეული ცხოველებისა და მცენარეების დაცვის ღონისძიებათა კომპლექსის განხორციელების მნიშვნელობას ტელევიზიის, რადიოს, პრესის, ლექციების, საუბრების, პლაკატებისა და მასობრივი აგიტაციის სხვა საშუალებებით.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1975 წ. 5 ივლის, № 442

55 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1970 წლის 12 ივნისის № 349 და 1972 წლის 26 ოქტომბრის № 554 დადგენილებებში ნაწილობრივი ცვლილებების შეტანის შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა მეურნეობების მატერიალური დაინტერესების მიზნით დამტკიცდეს მთელ სეზონში საზამთროს ერთიანი შესყიდვის ფასი 120 მან. და საცალო ფასი 160 მან. ტონაში.

ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1970 წლის 12 ივნისის № 349 და 1972 წლის 26 ოქტომბრის № 554 დადგენილებები საზამთროზე გათვალისწინებული საცალო და შესყიდვის ფასების ნაწილში.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1975 წ. 24 ივლისი, № 464

ეროვნული ბიბლიოთეკა

56 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1973 წლის 21 მაისის № 326 დადგენილებით დამტკიცებულ საქართველოს ი. გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიური საზოგადოების წესდებაში ნაწილობრივი ცვლილებების შეტანის შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს :

დაკმაყოფილდეს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს და საქართველოს ი. გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიური საზოგადოების პრეზიდიუმის შუამდგომლობა, აღნიშნული საზოგადოების წესდების ზოგიერთ პუნქტში შეტანილ იქნეს ცვლილებები და ეს პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი:

„დ) დაეხმაროს საზოგადოების წევრებს მათი სპეციალური ცოდნის გაფართოებასა და გაღრმავებაში, იდეურ-თეორიული დონის ამაღლებაში. სკოლებისა და უმაღლესი სასწავლებლების მოწინავე გამოცდილების გაცნობა-შესწავლის მიზნით ხელი შეუწყოს მათ მივლინებას როგორც სსრ კავშირის ქალაქებსა და რაიონებში, ისე მოძმე სოციალისტურ ქვეყნებში;“

მე-10 პუნქტი:

„10. ზოგადსაგანმანათლებლო სკოლები, სკოლამდელი და სკოლისგარეშე საბავშვო დაწესებულებები, პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლები, საშუალო სპეციალური სასწავლებლები, მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტი, პედაგოგიური და სხვა ინსტიტუტები, უნივერსიტეტი, სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებები და ორგანიზაციები — 10 მანეთს.“

მე-13 პუნქტი:

„13. საქართველოს ი. გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიური საზოგადოების უმაღლესი ორგანოა საზოგადოების ყრილობა, რომელიც მოიწვევა ოთხ წელიწადში ერთხელ მაინც.“

მე-17 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი:

„გ) ცენტრალური საბჭოს წევრებიდან ირჩევს საზოგადოების საბჭოს პრეზიდიუმს — პრეზიდიუმის თავმჯდომარეს, თავმჯდომარის განთავისუფლებულ მოადგილეს, თავმჯდომარის მოადგილეს, სწავლულ მდივანსა და პრეზიდიუმის წევრებს იმ რაოდენობით, რომელსაც საზოგადოების ცენტრალური საბჭო განსაზღვრავს;“

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1975 წ. 24 ივლისი, № 465

57 მათემატიკის მეცნიერებათა დარგში თვალსაჩინო ნამუშევრებისათვის ა. მ. რაზმაძის სახელობის პრემიის დაწესების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

1. მიღებულ იქნეს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წინადადება იმის შესახებ, რომ დაწესდეს ა. მ. რაზმაძის სახელობის პრემია მათემატიკის მეცნიერებათა დარგში თვალსაჩინო ნამუშევრებისათვის 2500 მანეთის ოდენობით.

2. აღნიშნული პრემია გაიცეს სამ წელიწადში ერთხელ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის საერთო ასიგნებათა ხარჯზე.

3. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმმა შეიმუშაოს და ერთი თვის ვადაში დაამტკიცოს დებულება ა. მ. რაზმაძის პრემიის შესახებ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1975 წ. 25 ივლისი, № 469

58 საბჭოთა კინემატოგრაფიის გამოჩენილი მოღვაწის მიხეილ ჭიაურელის ხსოვნის უკვდავყოფის შესახებ

საბჭოთა კინემატოგრაფიის გამოჩენილი მოღვაწის, სსრ კავშირის სახალხო არტისტის მიხეილ ჭიაურელის ხსოვნის უკვდავყოფის მიზნით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

1. მიენიჭოს საგარეჯოს რაიონის კულტურის სახლს მიხეილ ჭიაურელის სახელი.

2. დაწესდეს თბილისის თეატრალურ ინსტიტუტში წარჩინებული სტუდენტებისათვის მიხეილ ჭიაურელის სახელობის ერთი სტიპენდია 50 მანეთის ოდენობით ინსტიტუტისათვის დამტკიცებული სასტიპენდიო ფონდის ფარგლებში.

3. ნება დაერთოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტს დადგას მიხეილ ჭიაურელის საფლავის ქვა კინოსტუდია „ქართული ფილმის“ საწარმოს ფონდის სახსრების ხარჯზე.

4. საქართველოს სსრ კულტურის სამინისტრომ და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტმა შექმნან სოფელ დიღომში მიხეილ ჭიაურელის მემორიალური ოთახი — თეატრის, მუსიკის, კინოს სახელმწიფო მუზეუმის ფილიალი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ბ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1975 წ. 29 ივლისი, № 474.

59 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1948 წლის 20 აპრილის № 338 დადგენილების მე-7 პუნქტის ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ

„სანახაობათა გადასახადის საკითხებზე სსრ კავშირის მთავრობის გადაწყვეტილებათა ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1975 წლის 4 აპრილის № 265 დადგენილების შესაბამისად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. ძალადაკარგულად ჩაითვალოს მე-7 პუნქტი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1948 წლის 20 აპრილის № 338 დადგენილებისა „მოსახლეობის კინომომსახურების გაუმჯობესებისა და კინოს შემოსავლის გადიდების შესახებ“.

2. მიღებულ იქნეს ცნობად, რომ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1975 წლის 4 აპრილის № 265 დადგენილებით ძალადაკარგულად ჩაითვალა მე-3 პუნქტი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1958 წლის 25 ივნისის № 853 განკარგულებით დაგზავნილი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1958 წლის 6 ივნისის № 602 დადგენილებისა „სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის სესხების ხარჯზე მუდმივმოქმედი კინოთეატრების მშენებლობის შესახებ“ კინოს შემოსავლის ოდენობის ნაწილში.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ბ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1975 წ. 5 აგვისტო, № 499

60 გურჯაანის რაიონის სამეურნეობათაშორისო სამელიორაციო საწარმოო გაერთიანების შესახებ

ითვალისწინებს რა გარდაბნის, საგარეჯოსა და კასპის რაიონებში სამეურნეობათაშორისო სამელიორაციო საწარმოო გაერთიანებათა შექმნით მიღებულ დადებით შედეგებს, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. მიღებულ იქნეს გურჯაანის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის წინადადება, შეთანხმებული საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან, საქართველოს სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროსთან, საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან, საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროსთან, სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის საქართველოს რესპუბლიკურ კანტორასთან, გურჯაანის რაიონის სამეურნეობათაშორისო სამელიორაციო საწარმოო გაერთიანების შექმნისა და გურჯაანის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის სოფლის მეურნეობის სამმართველოსადმი ამ გაერთიანების დაქვემდებარების შესახებ.

2. საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრომ განიხილოს და დაამტკიცოს გურჯაანის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის მიერ მიღებული გურჯაანის რაიონის სამეურნეობათაშორისო სამელიორაციო საწარმოო გაერთიანების დროებითი დებულება

3. საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრომ გადასცეს გურჯაანის რაიონის მეპაიე კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ბალანსებიდან გურჯაანის სამეურნეობათაშორისო სამელიორაციო საწარმოო გაერთიანების ბალანსზე საპაიო შენატანის ანგარიშში სარწყავი და სამელიორაციო ტექნიკა.

4. საქართველოს სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტრომ გადასცეს გურჯაანის სამეურნეობათაშორისო სამელიორაციო საწარმოო გაერთიანებას ბალანსიდან ბალანსზე რაიონში არსებული სარწყავი და სამელიორაციო ტექნიკა, სოფ. მუკუზნის რკინიგზის სადგურის აღმოსავლეთით მდებარე შენობებიდან ერთი ორსართულიანი შენობა 1,30 ჰექტარი სამეურნეო ეზოთი, სოფ. არაშენდის ტერიტორიაზე მდებარე ერთი ფინური სახლი და ნება დაერთოს გაერთიანებას ისარგებლოს ალაზნის სარწყავი სისტემის გურჯაანის მეორე ჰიდროტექნიკურ უბანში არსებული საგუშაგოებით და სამეურნეო ეზოებით.

5. დაევალოს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს გურჯაანის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომთან ერთად გააფორმოს საქართველოს სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს შენობა-ნაგებობებით დაკავებული 1,30 ჰექტარი ფართობის გადაცემა გურჯაანის სამეურნეობათაშორისო სამელიორაციო საწარმოო გაერთიანებისათვის და მასალები წარმოუდგინოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დასამტკიცებლად.

6. სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის საქართველოს რესპუბლიკურმა კანტორამ სახბანკის გურჯაანის განყოფილებაში გურჯაანის სამეურნეობათაშორისო სამელიორაციო საწარმოო გაერთიანებას გაუხსნას მიმდინარე ანგარიში და კაპიტალურ დაბანდებათა ანგარიში და საჭიროების შემთხვევაში გასცეს მოკლევადიანი და გრძელვადიანი კრედიტები მეპაიე მეურნეობათა გარანტიით.

7. გურჯაანის რაიონის სამეურნეობათაშორისო სამელიორაციო გაერთიანება შეიქმნას როგორც კოოპერაციული ორგანიზაცია.

8. გურჯაანის რაიონის სამეურნეობათაშორისო სამელიორაციო საწარმოო გაერთიანებამ უზრუნველყოს გურჯაანის რაიონის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მიწების სარწყავად მოსამზადებელი სამუშაოების ჩატარება და შეუფერხებელი რწყვა.

9. საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრომ, საქართველოს სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტრომ და გურჯაანის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომმა სათანადო ხელმძღვანელობა და დახმარება გაუწიონ გურჯაანის რაიონის სამეურნეობათაშორისო სამელიორაციო საწარმოო გაერთიანებას და შეუქმნან მას მუშაობის ნორმალური პირობები.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1975 წ. 8 აგვისტო, № 505.

61 მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებთან, სავაჭრო ორგანიზაციებთან, მაღაზიებთან, სახელმწიფო ვაჭრობის საზოგადოებრივი კვების საწარმოებთან და მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოებთან არსებული მომსახურების ფასების, ტარიფების, ვაჭრობისა და ყოფა-ცხოვრების სამსახურის წესების დაცვის კონტროლის კომისიების შესახებ

ადგილობრივი საბჭოების არჩევნების ჩატარებასთან და მომსახურების ფასების, ტარიფების, ვაჭრობისა და ყოფა-ცხოვრების სამსახურის წესების დაცვის კონტროლის კომისიების რწმუნებულებათა ვადის გასვლასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დაევალოთ მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებს:

— ორი კვირის ვადაში შექმნან და დაამტკიცონ აღმასკომების სხდომებზე მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებთან, სავაჭრო ორგანიზაციებთან, მაღაზიებთან, სახელმწიფო ვაჭრობის საზოგადოებრივი კვების საწარმოებთან და მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოებთან არსებული მომსახურების ფასების, ტარიფების, ვაჭრობისა და ყოფა-ცხოვრების სამსახურის წესების დაცვის კონტროლის კომისიების შემადგენლობა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1972 წლის 23 მარტის № 135 დადგენილებით დამტკიცებული ამ კომისიათა დებულების სრული შესაბამისობით;

— მაქსიმალურად გააქტიურონ აღნიშნული კომისიების მუშაობა, სისტემატურად მოისმინონ აღმასკომების სხდომებზე ფასების დისციპლინის და ვაჭრობისა და ყოფა-ცხოვრების სამსახურის წესების დარღვევათა წინააღმდეგ ბრძოლის მდგომარეობის საკითხები და მიიღონ საჭირო ზომები მათი ლიკვიდაციისათვის.

2. რჩევა მიეცეთ მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებს:

ა) კომისიების შემადგენლობის დამტკიცებისას მოისმინონ ძველი შემადგენლობის კომისიების თავმჯდომარეთა ანგარიშები საანგარიშო პერიოდში ფასების, ტარიფების, ვაჭრობისა და ყოფა-ცხოვრების სამსახურის წესების დაცვის კონტროლის დარგში გაწეული მუშაობის შესახებ, და შეაფასონ იგი;

ბ) დატოვონ ახლად არჩეული კომისიების შემადგენლობაში ძველი შემადგენლობის ყველაზე აქტიური წევრები, რომლებმაც დადებითად გამოიჩინეს თავი კომისიების მუშაობაში;

გ) შეავსონ კომისიების შემადგენლობა პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული აქტივის ყველაზე აქტიური და კომპეტენტური პირებით, რომლებიც ავტორიტეტით სარგებლობენ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1975 წ. 11 აგვისტო, № 510

62 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1965 წლის 8 ოქტომბრის № 581 დადგენილებით დამტკიცებული საქართველოს სსრ ადვოკატთა შრომის ანაზღაურების დებულების ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ

იმასთან დაკავშირებით, რომ 1975 წლის 25 აპრილს სსრ კავშირის იუსტიციის სამინისტრომ დაამტკიცა დებულება ადვოკატთა შრომის ანაზღაურების შესახებ, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

ძალადაკარგულად ჩაითვალოს დებულება საქართველოს სსრ ადვოკატთა შრომის ანაზღაურების შესახებ, რომელიც დამტკიცებულია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1965 წლის 8 ოქტომბრის № 581 დადგენილებით.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1975 წ. 12 აგვისტო, № 515.

63 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 16 აპრილის № 250 დადგენილების დანართში დამატების შეტანის შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

დაემატოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 16 აპრილის № 250 დადგენილებით დამტკიცებულ იმ საწარმოებისა და დაწესებულებების სიას, რომელთა სახლებიდან საქართველოს სსრ სამოქალაქო კოდექსის 327-ე მუხლის შესაბამისად დასაშვებია სასამართლო წესით საცხოვრებელი ფართობის მიუცემლად მუშა-მოსამსახურეთა გამოსახლება, რომლებმაც შეწყვიტეს შრომითი ურთიერთობა საკუთარი სურვილით ან შრომის დისციპლინის დარღვევისათვის, ანდა დანაშაულის ჩადენისათვის დათხოვნასთან დაკავშირებით, შემდეგი პუნქტი:

„147. საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს ვარკეთილის მევენახეობის, ლილოს მევენახეობის, დიღმის მერძევეობა-მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობების, გამარჯვების მეფრინველეობის, ნორიოს მეფრინველეობისა და ნორიოს მეინდაურეობის ფაბრიკების საცხოვრებელი სახლები“.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1975 წ. 20 აგვისტო, № 531

64 საკონტროლო ციფრების საფუძველზე აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ სახელმწიფო ბიუჯეტების, აგრეთვე საქართველოს სსრ ადგილობრივი ბიუჯეტების პროექტების შედგენის წესის დროებითი დებულების დამტკიცების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დამტკიცდეს საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს მიერ წარმოდგენილი თანდართული დროებითი დებულება საკონტროლო ციფრების საფუძველზე აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ სახელმწიფო ბიუჯეტების, აგრეთვე საქართველოს სსრ ადგილობრივი ბიუჯეტების პროექტების შედგენის წესის შესახებ.

2. დაევალოთ საქართველოს სსრ სამინისტროებსა და უწყებებს წარუდგინონ რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტროს 1975 წლის 15 სექტემბრისათვის (განათლების სამინისტრომ — 20 სექტემბრამდე) შემდეგი მონაცემები 1976 წლის ბიუჯეტის მაჩვენებლების შესახებ ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი საბჭოების ბიუჯეტებზე მყოფი საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების მიხედვით საქართველოს სსრ ავტონომიური რესპუბლიკების, ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების შესაბამისად.

— გაანგარიშებითი საფინანსო გეგმების პროექტები და მათი შედგენისას გათვალისწინებული ძირითადი საწარმოო მაჩვენებლები, აგრეთვე გაანგარიშებანი საფინანსო გეგმის, შემოსავლის გეგმების ცალკეული მუხლების მიხედვით;

— საბიუჯეტო დაწესებულებათა და ღონისძიებათა დასაფინანსებლად განკუთვნილი ასიგნებების გაანგარიშებანი და მაჩვენებლები ამ დაწესებულებათა ქსელის, შტატებისა და კონტინგენტების მიხედვით.

3. საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტრომ:

— რესპუბლიკის სამინისტროებთან და უწყებებთან ერთად განიხილოს მათ მიერ წარდგენილი გაანგარიშებანი და საჭიროების შემთხვევაში დააზუსტოს ისიხი;

— დაუგზავნოს სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროსაგან მიღებული მითითებებისა და ფორმების შესაბამისად შემუშავებული (ადგილობრივი პირობების გათვალისწინებით) საკონტროლო ციფრები ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, ავტონომიური ოლქის, საქართველოს სსრ ქალაქებისა და რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებს 1975 წლის 20 ოქტომბრისათვის.

4. აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, საქართველოს სსრ ქალაქებისა და რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებმა მიღებული საკონტროლო ციფრების გამო შენიშვნების წარმოშობის შემთხვევაში წარუდგინონ ისინი საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს 1975 წლის 5 ნოემბრამდე.

საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტრომ რესპუბლიკის დაინტერესებულ სამინისტროებთან და უწყებებთან ერთად და ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების, ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომების წარმომადგენელთა მონაწილეობით 1975 წლის 15 ნოემბრამდე განიხილოს აღნიშნული შენიშვნები და შედეგების შესახებ აცნობოს შესაბამისად ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს და მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებს.

საკონტროლო ციფრები შენიშვნების განხილვის შედეგად შეტანილ ცვლილებათა გათვალისწინებით შეიტანოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსათვის წარდგენილ რესპუბლიკის მომავალი წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტში.

შენიშვნები საკონტროლო ციფრების გამო, რომლებზეც მიღწეული არ არის შეთანხმება საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროში, გადმოსცეს განსახილველად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს.

5. აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, საქართველოს სსრ ქალაქებისა და რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებმა მიიღონ შესაბამისი გადაწყვეტილება და მისცენ სათანადო მითითებანი ქვემდგომ მშრომელთა დეპუტატების საბჭოებს საკონტროლო ციფრების საფუძველზე 1976 წლის ბიუჯეტების პროექტების შედგენის შესახებ, უზრუნველყონ დადგენილი წესით ბიუჯეტების თითოეული სახეობის მიხედვით შეტანილი ყველა ცვლილების სრული გათვალისწინება, რაიონული, საქალაქო, სასოფლო და სადაბო საბჭოების ბიუჯეტების შედგენა, განხილვა და დამტკიცება დასაგეგმი წლის დაწყებამდე.

6. დაევალოთ საქართველოს სსრ შესაბამის სამინისტროებსა და უწყებებს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტო-

ნომიური ოლქის, საქართველოს სსრ ქალაქებისა და რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებს შესაბამისი ბიუჯეტების პროექტების შედგენისას მტკიცედ იხელმძღვანელონ ამ დადგენილებით დამტკიცებული დროებითი დებულებით.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯაფარიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1975 წ. 21 აგვისტო, № 533

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1975 წლის 21 აგვისტოს № 533
დადგენილებით

დროებითი დებულება

საკონტროლო ციფრების საფუძველზე აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ სახელმწიფო ბიუჯეტების, აგრეთვე საქართველოს სსრ ადგილობრივი ბიუჯეტების პროექტების შედგენის წესის შესახებ

1. აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რაიონების, ქალაქების, მშრომელთა დეპუტატების სასოფლო და სადაბო საბჭოების ბიუჯეტების პროექტები დგება საკონტროლო ციფრების საფუძველზე, რომლებსაც აწესებენ:

— აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, საქართველოს სსრ რაიონებისა და ქალაქების ბიუჯეტების პროექტებისათვის — საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტრო;

— ავტონომიური რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქის ქალაქებისა და რაიონების ბიუჯეტების პროექტებისათვის — შესაბამისად აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ ფინანსთა სამინისტროები, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის საფინანსო განყოფილება;

— სასოფლო, სადაბო, საქალაქო (რაიონული დაქვემდებარების ქალაქების) ბიუჯეტებისა და შიგასაქალაქო რაიონების ბიუჯეტების პროექტებისათვის — მშრომელთა დეპუტატების შესაბამისი რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასკომების საფინანსო განყოფილებანი.

2. ავტონომიური რესპუბლიკების, ავტონომიური ოლქის, ქალაქების, რაიონების მშრომელთა დეპუტატების სასოფლო და სადაბო საბჭოების ბიუჯეტების პროექტების შესადგენად საკონტროლო ციფრებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების და მშრომელთა დეპუტატების შესაბამისი საოლქო, საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომების გადაწყვეტილებით შეიმუშავებენ:

— საქართველოს სსრ ავტონომიური რესპუბლიკების, ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების ბიუჯეტების პროექტების მიხედვით — საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტრო რესპუბლიკის შესაბამის სამინისტროთა და უწყებათა მონაწილეობით, საკავშირო ორგანოებში განხილული საქართველოს სსრ სახელმწიფო ბიუჯეტისა და სახალხო-სამეურნეო გეგმის პროექტების შესაბამისად, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ დადგენილ ვადაში;

— ავტონომიური რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქის ქალაქებისა და რაიონების ბიუჯეტების პროექტების მიხედვით — ავტონომიური რესპუბლიკების ფინანსთა სამინისტროები, ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის საფინანსო განყოფილება ავტონომიური რესპუბ-

12958

[illegible]

ეროვნული ბიბლიოთეკა

დეპუტატების საბჭოს აღმასკომის სამმართველოთა და განყოფილებათა მონაწილეობით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დავალებით მიღებული საკონტროლო ციფრების საფუძველზე, ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებისა და საოლქო საბჭოს აღმასკომის გადაწყვეტილებებით დადგენილ ვადებში;

— სასოფლო, სადაბო, საქალაქო (რაიონული დაქვემდებარების ქალაქების) საბჭოების ბიუჯეტებისა და შიგასაქალაქო რაიონების ბიუჯეტების პროექტების მიხედვით — მშრომელთა დეპუტატების რაიონული, საქალაქო საბჭოების აღმასკომების საფინანსო განყოფილებანი აღნიშნული აღმასკომების განყოფილებათა და სამმართველოთა მონაწილეობით შესაბამისი ზემდგომი საფინანსო ორგანოებისაგან მიღებული საკონტროლო ციფრების საფუძველზე, აღმასკომების გადაწყვეტილებებით დადგენილ ვადებში.

3. საქართველოს სსრ სამინისტროები და უწყებები წარუდგენენ საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს საქართველოს სსრ ცალკეული ავტონომიური რესპუბლიკების, ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონებისათვის განაწილებულ შემდეგ მონაცემებს საქვეუწყებო საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების მიხედვით:

— გაანგარიშებითი საფინანსო გეგმების, შემოსავლის გეგმების, ხარჯთაღრიცხვების პროექტებს და მათი შედგენისას გათვალისწინებულ ძირითად საწარმოო მაჩვენებლებს, გაანგარიშებებს საფინანსო გეგმის ცალკეული მუხლების მიხედვით, აგრეთვე ბიუჯეტის პროექტის შედგენისათვის საჭირო სხვა მონაცემებს;

— საბიუჯეტო დაწესებულებათა და ღონისძიებათა დასაფინანსებლად განკუთვნილი ასიგნებების გაანგარიშებებს, მაჩვენებლებს ამ დაწესებულებათა ქსელის, შტატებისა და კონტინგენტების მიხედვით.

4. საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტრო განიხილავს სამინისტროებთან და უწყებებთან ერთად მათ მიერ წარდგენილ გაანგარიშებებს, საჭიროების შემთხვევაში დააზუსტებს მათ და განსაზღვრავს:

— ბიუჯეტში გადასახდელთა და ბიუჯეტიდან ასიგნებათა ოდენობას თითოეული სამინისტროს (უწყების) მიხედვით, ავტონომიური რესპუბლიკების, ავტონომიური ოლქის, რაიონებისა და რესპუბლიკური (საქართველოს სსრ) დაქვემდებარების ქალაქების შესაბამისად;

— ადგილობრივი გადასახადებისა და გამოსაღების შემოსვლის, საერთოსაკავშირო სახელმწიფო გადასახადებისა და შემოსავლის (კონტინგენტის მიხედვით) და სხვა შემოსავლის გეგმებს ავტონომიური რესპუბლიკების, ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკური (საქართველოს სსრ) დაქვემდებარების ქალაქებისა და რაიონების მიხედვით;

— საკონტროლო ციფრებს ავტონომიური რესპუბლიკების, ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკური (საქართველოს სსრ) დაქვემდებარების ქალაქებისა და რაიონების ბიუჯეტების პროექტების შესადგენად მაჩვენებლების შემდეგი მოცულობით: შემოსავალ-გასავლის ნაკრები გამსხვილებული მაჩვენებლები;

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიხედვით, საერთო-საკავშირო სახელმწიფო გადასახადებისა და შემოსავლის ანარიცხების ოდენობა (პროც.), მათ შორის სამომხმარებლო კოოპერაციის ორგანიზაციათა საცალო საქონელბრუნვის შესაბამისად, სალაროში არსებული საბრუნავი ნაღდი ფულისა და ლიმიტირებული ხარჯების თანხები (სახელმწიფო მმართველობის ორგანოთა შენახვის ხარჯები, საბიუჯეტო დაწესებულებათა ხელფასის ფონდი და სხვ.).

5. შემუშავებულ საკონტროლო ციფრებს ავტონომიური რესპუბლიკების, ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკური (საქართველოს სსრ) დაქვემდებარების ქალაქებისა და რაიონების ბიუჯეტების პროექტების შესადგენად საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტრო დაუგზავნის ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, მშრომელთა დეპუტატების საოლქო, საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ დადგენილ ვადაში.

აღნიშნული ბიუჯეტების პროექტების შესადგენად საკონტროლო ციფრებთან ერთად ეცნობებათ საკონტროლო ციფრების განსაზღვრისას გათვალისწინებული შემდეგი გაანგარიშებითი მაჩვენებლები:

— რესპუბლიკური (ასსრ), საოლქო, საქალაქო და რაიონული დაქვემდებარების სამეურნეო ორგანიზაციათა გაანგარიშებითი საფინანსო გეგმები და ძირითადი საწარმოო მაჩვენებლები დარგების მიხედვით;

— სოფლის მეურნეობისათვის, განათლებისათვის, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფისათვის განკუთვნილი ხარჯების ნაკრებები, ქსელი, შტატები და კონტინგენტები წლის დასაწყისისა და ბოლოსათვის და ცალკეულ ღონისძიებათა ხარჯების საშუალო-წლიური ნორმები.

6. ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები, ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკური (საქართველოს სსრ) დაქვემდებარების ქალაქებისა და რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოები, მიიღებენ რა საკონტროლო ციფრებს, დაიწყებენ მუშაობას შესაბამისი ბიუჯეტების პროექტების შესადგენად.

ამ მიზნით ავტონომიური რესპუბლიკების ფინანსთა სამინისტროები, ავტონომიური ოლქის, საქართველოს სსრ ქალაქებისა და რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომების საფინანსო განყოფილებები გააანალიზებენ დაწესებულ საკონტროლო ციფრებს შესაბამისი ბიუჯეტის პროექტის შესადგენად, რისთვისაც გამოიყენებენ მათთან არსებულ საგეგმო და საანგარიშგებო მაჩვენებლებს ბიუჯეტის მიხედვით და მოახსენებენ თავიანთ წინადადებებს საკონტროლო ციფრების გამო ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს და მშრომელთა დეპუტატების შესაბამისი საბჭოების აღმასკომებს, რომლებიც განიხილავენ საკონტროლო ციფრებს და წინადადებებს მათ გამო და მიიღებენ გადაწყვეტილებებს შესაბამისი ბიუჯეტების პროექტების შედგენის წესისა და ვადების შესახებ.

7. ავტონომიური რესპუბლიკების ფინანსთა სამინისტროები, ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომების საფინანსო განყოფილებები ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების, ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების მშრო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომების გადაწყვეტილებათა შესაბამისად დაუგზავნიან საკონტროლო ციფრებს ავტონომიური რესპუბლიკების სათანადო სამინისტროებს, უწყებებს, აღმასკომების სამმართველოებსა და განყოფილებებს კუთვნილებისამებრ.

8. ავტონომიური რესპუბლიკების სამინისტროები და უწყებები, მშრომელთა დეპუტატების საბჭოების შესაბამისი აღმასკომების სამმართველოები და განყოფილებები ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების, ქალაქებისა და რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომების მიერ დადგენილ ვადებში:

— საკონტროლო ციფრების გამო შენიშვნების წარმოშობისას აცნობებენ მათ ავტონომიური რესპუბლიკების ფინანსთა სამინისტროებს, ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომების საფინანსო განყოფილებებს კუთვნილებისამებრ საჭირო გაანგარიშებებითა და დასაბუთებებით;

— შეიმუშავებენ და წარადგენენ საფინანსო გეგმების, ხარჯთაღრიცხვებისა და შემოსავლის გეგმების პროექტებს უშუალოდ რესპუბლიკური (ასსრ), საოლქო, საქალაქო, რაიონული დაქვემდებარების მეურნეობის მიხედვით, აგრეთვე ავტონომიური რესპუბლიკების, ავტონომიური ოლქის ცალკეული ქალაქებისა და რაიონების, შიგასაქალაქო რაიონების, რაიონული დაქვემდებარების ქალაქების, სასოფლო და სადაბო საბჭოების ბიუჯეტების პროექტების შესადგენად საკონტროლო ციფრების შემუშავებისათვის საჭირო გაანგარიშებებს.

9. ავტონომიური რესპუბლიკების ფინანსთა სამინისტროები, ავტონომიური ოლქის, საქართველოს სსრ ქალაქებისა და რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომების საფინანსო განყოფილებები ავტონომიური რესპუბლიკების სამინისტროებისა და უწყებების, აღმასკომების სამმართველოებისა და განყოფილებების წარმომადგენელთა მონაწილეობით:

— განიხილავენ მათ შენიშვნებს საქართველოს სსრ ავტონომიური რესპუბლიკების, ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების ბიუჯეტების პროექტების შესადგენად საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროსაგან მიღებული საკონტროლო ციფრების გამო, და განაზოგადებენ მათ;

— განიხილავენ მათ მიერ წარდგენილ გაანგარიშებებს უშუალოდ რესპუბლიკური (ასსრ), საოლქო, საქალაქო და რაიონული ბიუჯეტების პროექტების მიხედვით, აგრეთვე შესაბამისად ავტონომიური რესპუბლიკების, ავტონომიური ოლქის ქალაქებისა და რაიონების, შიგასაქალაქო რაიონების, რაიონული დაქვემდებარების ქალაქების, სასოფლო და სადაბო საბჭოების ბიუჯეტების პროექტების შესადგენად საკონტროლო ციფრების შემუშავებისათვის საჭირო გაანგარიშებებს, შეიტანენ სათანადო დაზუსტებებს ამ გაანგარიშებებში და ჩამოაყალიბებენ უშუალოდ რესპუბლიკური (ასსრ), საოლქო, საქალაქო, რაიონული ბიუჯეტების პროექტებს და საკონტროლო ციფრებს შესაბამისად ავტონომიური რესპუბლიკების, ავტონომიური ოლქის ქალაქებისა და რაიონების, შიგასაქალაქო რაიონების, რაიონული დაქვემდებარების ქალაქების, სასოფლო და სადაბო საბჭოების ბიუჯეტების პროექტების შესადგენად.

10. ავტონომიური რესპუბლიკების, ავტონომიური ოლქის ქალაქებისა და რაიონების, შიგასაქალაქო რაიონების, რაიონული დაქვემდებარების ქალაქების, სასოფლო და სადაბო საბჭოების ბიუჯეტების პროექტების შესადგენად ამ დებულებისა და საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს მითითებების შესაბამისად შემუშავებულ საკონტროლო ციფრებს, აგრეთვე ამ საკონტროლო ციფრების განსაზღვრისას გათვალისწინებულ გაანგარიშებით მაჩვენებლებს ავტონომიური რესპუბლიკების ფინანსთა სამინისტროები, ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომების საფინანსო განყოფილებები დაუგზავნიან კუთვნილებისამებრ მშრომელთა დეპუტატების შესაბამისი საქალაქო, რაიონული, სასოფლო და სადაბო საბჭოების აღმასკომებს ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების, ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომების გადაწყვეტილებებით დადგენილ ვადებში.

11. მშრომელთა დეპუტატების რაიონული, საქალაქო, სასოფლო და სადაბო საბჭოების აღმასკომები, მიიღებენ რა საკონტროლო ციფრებს შესაბამისი ზემდგომი საფინანსო ორგანოებისაგან (ავტონომიური რესპუბლიკების ფინანსთა სამინისტროებისაგან, ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომების საფინანსო განყოფილებებისაგან), განიხილავენ მათ და დაიწყებენ მუშაობას თავიანთი ბიუჯეტების პროექტების შესადგენად საკონტროლო ციფრებისა და შესაბამისი ბიუჯეტების მიხედვით მათთან არსებული საგეგმო და საანგარიშგებო მონაცემების თანახმად.

12. ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, ავტონომიური ოლქის, ქალაქების, რაიონების, სოფლებისა და დაბების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებს შესაბამისი ბიუჯეტების პროექტების შედგენისას შეუძლიათ დაუშვან გადახრები საკონტროლო ციფრებისაგან.

იმ შემთხვევებში, როცა საკონტროლო ციფრებისაგან გადახრები დაკავშირებულია სახელმწიფო შემოსავლისა და გადასახადების ანარიცხების თანხისა და ოდენობის (პროც.), აგრეთვე ლიმიტირებული ხარჯების ოდენობის გადიდებასთან და სხვ., ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები, ავტონომიური ოლქის, ქალაქების, რაიონების, სოფლებისა და დაბების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომები წარუდგენენ საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს, ავტონომიური რესპუბლიკების ფინანსთა სამინისტროებს, ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომების საფინანსო განყოფილებებს კუთვნილებისამებრ თავიანთ შენიშვნებს საკონტროლო ციფრების გამო შესაბამისი გაანგარიშებებისა და დასაბუთებების თანდართვით საქართველოს სსრ, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოების, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომების მიერ დადგენილ ვადებში.

საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტრო, ავტონომიური რესპუბლიკების ფინანსთა სამინისტროები, ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების

მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომების საფინანსო განყოფილებები დადგენილ ვადებში განიხილავენ ამ შენიშვნებს შესაბამისად ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების, ავტონომიური ოლქის, ქალაქების, რაიონების, სოფლებისა და დაბების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომების წარმომადგენელთა მონაწილეობით და მიიღებენ გადაწყვეტილებას მათ გამო.

შენიშვნებს, რომლებზეც მიღწეული არ არის შეთანხმება, განიხილავენ შესაბამისად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო, ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები, ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომები.

13. ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებს მას შემდეგ, რაც მიიღებენ შესაბამისად საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროსაგან, ავტონომიური რესპუბლიკების ფინანსთა სამინისტროებისაგან, ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის საფინანსო განყოფილებისაგან, ხოლო რაიონული დაქვემდებარების ქალაქების, სოფლებისა და დაბების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებს — რაიონებისა და ქალაქების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომების საფინანსო განყოფილებებისაგან მათი შენიშვნების განხილვის შედეგებს, საჭიროების შემთხვევაში შეუძლიათ ამ საკითხებზე მიმართონ შესაბამისად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებს სათანადო დაწვრილებითი გაანგარიშებების თანდართვით.

14. ავტონომიური რესპუბლიკების ფინანსთა სამინისტროები, ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომების საფინანსო განყოფილებები რესპუბლიკური (ასსრ), საოლქო, რაიონული, საქალაქო ბიუჯეტების პროექტების და ავტონომიური რესპუბლიკების, ავტონომიური ოლქის ქალაქებისა და რაიონების ბიუჯეტების, საქალაქო (რაიონული დაქვემდებარების ქალაქების), სასოფლო და სადაბო საბჭოების ბიუჯეტების პროექტების შესადგენად შემუშავებული საკონტროლო ციფრების საფუძველზე, მათ გამო შენიშვნების განხილვის შედეგების გათვალისწინებით, შეადგენენ ავტონომიური რესპუბლიკების, ავტონომიური ოლქის, შესაბამისი ქალაქებისა და რაიონების ბიუჯეტების პროექტებს.

ავტონომიური რესპუბლიკების, ავტონომიური ოლქის, რაიონების, ქალაქების, მშრომელთა დეპუტატების სასოფლო და სადაბო საბჭოების ბიუჯეტების პროექტები განიხილება და მტკიცდება კანონმდებლობით დადგენილი წესით.

15. საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტრო საკონტროლო ციფრების საფუძველზე, მათ გამო შენიშვნების განხილვის შედეგების გათვალისწინებით, შედგენილი რესპუბლიკური ბიუჯეტის პროექტის, აგრეთვე ავტონომიური რესპუბლიკების, ავტონომიური ოლქის, საქართველოს სსრ ქალაქებისა და რაიო-

ნების ბიუჯეტების პროექტების საფუძველზე შეადგენს საქართველოს სსრ სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტს და წარმოუდგენს მას საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს.

16. ფორმებს საკონტროლო ციფრებისა და გაანგარიშებითი მაჩვენებლებისათვის შეიმუშავებენ, კონკრეტული პირობების გათვალისწინებით, საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტრო, ავტონომიური რესპუბლიკების ფინანსთა სამინისტროები, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის და ქალაქ თბილისის მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომების საფინანსო განყოფილებები.

65 კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საწარმოო ქვედანაყოფების ხელმძღვანელთა მომზადების გაუმჯობესების შესახებ

„კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საწარმოო ქვედანაყოფების ხელმძღვანელთა მომზადების გაუმჯობესების შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1975 წლის 27 ივნისის № 562 დადგენილების შესასრულებლად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. გაიხსნას მარტყოფის სოფლის მეურნეობის მექანიზაციისა და ელექტრიფიკაციის ტექნიკუმთან სოფლის მეურნეობის მართვის რესპუბლიკური სკოლა კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, სამეურნეობათაშორისო საწარმოებისა და გაერთიანებების საწარმოო ქვედანაყოფების ხელმძღვანელთა მოსამზადებლად წარმოებას მოწყვეტით. სწავლების ვადა განისაზღვროს სამი თვით, ყოველწლიური კონტინგენტი — 180 კაცით, ნაკადი — 60 მსმენელით.

სოფლის მეურნეობის მართვის სკოლაში მიიღებიან საშუალო სპეციალური განათლებისა და სოფლის მეურნეობაში სპეციალობის მიხედვით მუშაობის გამოცდილების მქონე პირები. აღნიშნულ სკოლაში მსმენელები უნდა შეარჩიონ და გაგზავნონ ავტონომიური რესპუბლიკების, ავტონომიური ოლქისა და რაიონების სასოფლო-სამეურნეო ორგანოებმა.

2. სოფლის მეურნეობის მართვის სკოლის კურსდამთავრებულთ მიეცემათ მოწმობები და ისინი გაიგზავნებიან ავტონომიური რესპუბლიკების, ავტონომიური ოლქისა და რაიონების სასოფლო-სამეურნეო ორგანოების განკარგულებაში, რათა გამოიყენონ, როგორც წესი, იმ კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, სამეურნეობათაშორისო საწარმოებისა და გაერთიანებების ბრიგადების, განყოფილებების, ფერმებისა და სხვა ქვედანაყოფების ხელმძღვანელებად, რომელთა მიერაც იქნენ ისინი მივლინებული სასწავლებლად.

3. სოფლის მეურნეობის მართვის სკოლის მასწავლებელთა შემადგენლობა, ადმინისტრაციულ-სამმართველო და სასწავლო-დამხმარე პერსონალი განისაზ-

ოვროს საშუალო სპეციალური სასწავლებლებისათვის დადგენილი ნორმების მიხედვით, დანართის თანახმად.

4. სოფლის მეურნეობის მართვის სკოლის მასწავლებელთა და ხელმძღვანელ მუშაკთა ხელფასი განისაზღვროს იმის მიხედვით, როგორც ეს გათვალისწინებულია საშუალო სპეციალური სასწავლებლების შესაბამისი კატეგორიის მუშაკთათვის სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საკავშირო პროფსაბჭოს 1972 წლის 13 ივლისის № 522 დადგენილებით.

5. გავრცელდეს სოფლის მეურნეობის მართვის სკოლის მსმენელებზე სასოფლო-სამეურნეო კადრების კვალიფიკაციის ამაღლების სკოლების მსმენელთათვის სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1966 წლის 15 იანვრის № 38 დადგენილების 11 პუნქტით გათვალისწინებული მატერიალური უზრუნველყოფის პირობები.

გზის ხარჯებს. აგრეთვე დღიურებს გზაში ყოფნისას ანაზღაურებენ ის მეურნეობები, რომელნიც მიავლენენ თავიანთ მუშაკებს აღნიშნულ სკოლაში.

6. საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრომ რესპუბლიკურმა გაერთიანებამ „საქსოფლტექნიკამ“ უზრუნველყონ სოფლის მეურნეობის მართვის სკოლა ახალი თანამედროვე სასოფლო-სამეურნეო ტექნიკით, სატრანსპორტო საშუალებებით, ლაბორატორიების აღჭურვილობით, ავეჯითა და სხვა მატერიალურ-ტექნიკური საშუალებებით, მიუჩინონ აღნიშნულ სკოლას მოწინავე სასოფლო-სამეურნეო საწარმოები მსმენელთა პრაქტიკის გასავლელად და სტაჟირებისათვის.

7. სოფლის მეურნეობის მართვის რესპუბლიკური სკოლის შესანახი ხარჯები საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრომ 1975 წელს გაიღოს მისთვის რესპუბლიკური ბიუჯეტით „განათლების ღონისძიებებზე“ დამტკიცებული საერთო ასიგნებების ფარგლებში, ხოლო მომავლისათვის დადგენილი წესით გაითვალისწინოს სათანადო ასიგნებები.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ბ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1975 წ. 21 აგვისტო, № 539.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1975 წლის 21 აგვისტოს № 539
დადგენილების დანართი

სოფლის მეურნეობის მართვის რესპუბლიკური სკოლის საშტატო განრიგი

საშტატო ერთეული	საშტატო ერთეულის რაოდენობა	ხელფასი	ხელფასის დანამატი	ხელფასის თვიური ფონდი	ხელფასის წლიური ფონდი
1. დირექტორი	1	145	—	145	1740
2. მოადგილე სასწავლო ნაწილში .	1	130	—	130	1560
3. მოადგილე საწარმოო სწავლების ნაწილში	1	130	—	130	1560
4. მდივანი-მემანქანე	1	65	—	65	780
5. უფროსი ბუღალტერი . . .	1	70	—	70	840
6. მოლარე	1	65	—	65	780
7. ბიბლიოთეკარი	1	65	—	65	780
8. სამნეო ნაწილის გამგე . . .	1	69	—	69	828
9. მეკუჭნავე	1	65	—	65	780
10. მეგარდერობე	1	60	—	60	720
11. ელექტრომონტიორი	0,5	65	—	32^{50}	390
12. ზეინკალი-სანტექნიკოსი . . .	0,5	65	—	32^{50}	390
13. მეხანძრე-დარაჯი	2	60	—	120	1440
14. დამლაგებელი	3	60	—	180	2160
15. II კლასის მძღოლი	1	65	6^{50}	71^{50}	858
16. ცეცხლფარეში-მემანქანე . . .	2	65	—	130	1560
სულ	19			1430^{50}	17166

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

66 სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1975 წლის 29 აპრილის № 347 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მთავრობის ზოგიერთი გადაწყვეტილებების შეცვლისა და ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ

„სახალხო მეურნეობის დაგეგმვის საკითხებზე სსრ კავშირის მთავრობის ზოგიერთი გადაწყვეტილების შეცვლისა და ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1975 წლის 29 აპრილის № 347 დადგენილების შესაბამისად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ მთავრობის გადაწყვეტილებანი, თანდართული ნუსხის თანახმად.

2. დამტკიცდეს „საცალო საქონელბრუნვის დაგეგმვის ახალი წესის შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1956 წლის 6 დეკემბრის № 704 დადგენილების თანდართული ცვლილებანი.

3. მიღებულ იქნეს ცნობად, რომ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1975 წლის 29 აპრილის № 347 დადგენილებით ძალადაკარგულად ჩაითვალა მე-5 პუნქტი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1947 წლის 16 ნოემბრის № 3830 დადგენილებისა „არასაშტატო (არასიობრივი) შემადგენლობის მუშაკთა ხელფასის ფონდების ხარჯვისადმი კონტროლის გაძლიერების ღონისძიებათა შესახებ“ და 1-ლი პუნქტი ამავე დადგენილებისა (სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1956 წლის 18 მაისის № 660 დადგენილების რედაქციით), რომელიც დაგზავნილია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1947 წლის 17 დეკემბრის № 1420 დადგენილებით.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **დ. ქიტიაშვილი.**

ქ. თბილისი, 1975 წ. 27 აგვისტო, № 554

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1975 წლის 27 აგვისტოს № 554
დადგენილებით

ნ უ ს ხ ა

საქართველოს სსრ მთავრობის გადაწყვეტილებებისა, რომლებმაც ძალა დაკარგეს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1975 წლის 29 აპრილის № 347 დადგენილებასთან დაკავშირებით

1. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1949 წლის 6 მაისის № 448 დადგენილება „მზესუმზირასა და სხვა ზეთოვანი კულტურების მოსავლიანობის გადიდების ღონისძიებათა შესახებ“.

2. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1949 წლის 25 ივნისის № 688 დადგენილება „საქართველოს სს რესპუბლიკაში მანქანა-ტრაქტორთა სადგურების მიერ ევკალიპტის ნარგავების ხაზით სამუშაოთა ჩატარების შესახებ“.

3. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1950 წლის 19 სექტემბრის № 1268 დადგენილება „ნაწარმის რაოდენობისა და ასორტიმენტის შეცვლისას საწარმოთა საფინანსო გეგმებში (შემოსავალ-გასავლის ბალანსებში) ცვლილებათა შეტანის შესახებ“.

4. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1952 წლის 29 თებერვლის № 289 დადგენილება „1952 წელს სსრ კავშირის ქაღალდისა და ხისგადამმუშავებელი მრეწველობის სამინისტროსათვის ბამბუკის ნამზადის მიწოდების შესახებ“.

5. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1952 წლის 18 მარტის № 332 დადგენილება „აგურისა და სხვა საკედლე მასალების წარმოების დაგეგმვისა და ამ მასალების დამამზადებელი მოქმედი საწარმოების საწარმოო სიმძლავრეთა გამოყენების გაუმჯობესების შესახებ“.

6. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1952 წლის 13 მაისის № 607 დადგენილება „კოლმეურნეობათა კუთვნილი ავტომობილების და სტაციონარული ძრავების ტექნიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისა და მათი გამოყენების ღონისძიებათა შესახებ“.

7. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1952 წლის 29 სექტემბრის № 1559 დადგენილება „კაკალნაყოფიანთა ახალი ნარგავების შექმნისა და არსებული ნარგავების გამოყენების შესახებ“.

8. საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1954 წლის 25 თებერვლის № 197 დადგენილება „საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს საფაბრიკო-საქარხნო სწავლების სკოლებსა და სამთამადნო მრეწველობის სკოლებში ახალგაზრდობის მორიგი გაწვევის (მობილიზაციის) შესახებ“.

9. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1955 წლის 20 მაისის № 288 დადგენილება „1956-1960 წლებში მრეწველობის საერთო პროდუქციის, კაპიტალურ დაბანდებათა და გეოლოგიურ-საძიებო სამუშაოთა დაგეგმვისა და აღრიცხვის წესის შესახებ“.

10. მე-8 პუნქტი და მე-9 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1956 წლის 29 სექტემბრის № 556 დადგენილებისა „უდედმამოდ დარჩენილი ბავშვების აღზრდის გაუმჯობესების ზომების შესახებ“.

11. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1959 წლის 1 აპრილის № 247 დადგენილება „ცხოვრებასთან სკოლის კავშირის განმტკიცებისა და სსრ კავშირში სახალხო განათლების სისტემის შემდგომი განვითარების კანონის შესრულებასთან დაკავშირებულ ღონისძიებათა შესახებ“.

12. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1959 წლის 4 სექტემბრის № 687 დადგენილება „საქართველოს სს რესპუბლიკაში 1959-1964 წლებისათვის მსხვილპანელიანი სახლმშენებლობის განვითარების შესახებ“.

13. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1962 წლის 25 სექტემბრის № 659 დადგენილება „1962 წელს მოსახლეობისათვის მისაყიდად სახალხო მოხმარების საქონლის დამატებითი წარმოებისა და მიწოდების შესახებ“.

14. მე-4 პუნქტის მესამე აბზაცი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1965 წლის 9 იანვრის № 24 დადგენილებისა „ამიერკავკასის რკინიგზის სადგურებსა და სამრეწველო საწარმოთა მისასვლელ ლიანდაგებზე სასასწორო მეურნეობის მოდერნიზაციისა და განვითარების, ტვირთის აწონის პროცესების ტექნოლოგიისა და ავტომატიზაციის გაუმჯობესების ზომების შესახებ“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1975 წლის 27 აგვისტოს № 554
დადგენილებით

ცვლილებანი,

რომლებიც შეიტანება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1956 წლის 6 დეკემბრის № 704 დადგენილებაში „საცალო საქონელბრუნვის დაგეგმვის ახალი წესის შესახებ“

შეტანილ იქნეს მე-5 პუნქტში შემდეგი ცვლილებანი:

1. „ბ“ ქვეპუნქტის პირველი აბზაცი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ბ) სამომხმარებლო კოოპერაციის ბრუნვის გეგმები შეთანხმებით დათქმულ ფასებში შესყიდული და საკომისიოდ მიღებული სოფლის მეურნეობის პროდუქტების მიყიდვის თაობაზე; სოფლის მეურნეობის პროდუქტების შესყიდვისას კოლმეურნეობებისა და კოლმეურნეებისათვის შემხვედრ მისაყიდად საჭირო საქონლის ფონდები“.

2. „დ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„დ) საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტრომ და საქართველოს სსრ დამზადების სამინისტრომ — საბაზრო ფონდის ფქვილისა და ბურღულის ასორტიმენტი, შეთანხმებული საქართველოს სსრ დამზადების სამინისტროსთან“.

3. ძალადაკარგულად ჩაითვალოს „ე“ ქვეპუნქტის მეორე და მესამე აბზაცები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინდექსი — 76187

СОБРАНИЕ ПОСТАНОВЛЕНИЙ ПРАВИТЕЛЬСТВА ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 4 за 1975 год.

გამომცემელი: საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტრო

ხელმოწერილია დასაბეჭდად 30/X-75 წ. ქაღალდის ფორმატი 70 × 108 1/16.
საბეჭდი თაბახი, 2. სააღრიცხვო თაბახი 2.

წლიური ხელმოწერის ფასი 3 მან.

შეკვეთა № 1041 უე 06537 ტირაჟი 1975

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველობის სტამბა